

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სენატის

2015 წლის 22 დეკემბრის №96 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ადმინისტრაციის, საფაკულტეტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებში ცვლილებების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ადმინისტრაციის, საფაკულტეტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში სამეცნიერო ხარჯებიდან 250 ლარი გადატანილ იქნეს ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის მუხლში;

1. 1. თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 15 260 ლარი, ხოლო დანამატის მუხლიდან 869 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში;

1. 2. არაფინანსური აქტივების ელექტრომოწყობილობების შეძენის მუხლიდან 200 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში.

2. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 4 807 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში. ასევე, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 119 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენისა და დემონტაჟის ხარჯების მუხლში;

3. ბიოტექნოლოგიის ცენტრის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 428 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში. ასევე, კავშირგაბმულობის და სატელეფონო მომსახურების ხარჯის მუხლიდან 170 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯების მუხლში;

4. ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში კადრების მომზადება-გადამზადებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან 800 ლარი გადატანილ იქნეს სამეცნიერო ხარჯების მუხლში; საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან 105 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯების მუხლში;

5. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯების მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯებიდან 17 032 ლარი და საფოსტო მომსახურების ხარჯებიდან 500 ლარი, სულ ჯამში 17 532 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯების მუხლში, ხოლო არაფინანსური აქტივების ელექტრომომწობილობების შეძენის პუნქტიდან 3 800 ლარი გადატანილ იქნეს არამატერიალური ძირითადი აქტივების კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის პუნქტში. ასევე, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯების მუხლიდან 3 620 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენის და დემონტაჟის ხარჯებში;

6. ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში ელექტროენერგიის ხარჯებიდან 1 344 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯების მუხლში. ასევე, კავშირგაბმულობისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების მუხლიდან 680 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანადანადგარების მოვლა/შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში;

7. არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 445 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

8. ინსტიტუტ ტექინფორმის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 17 500 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

9. კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში წყლის ხარჯიდან 1 000 ლარი და ელექტროენერგიის ხარჯიდან 700 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში;

10. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში ელექტროენერგიის ხარჯის მუხლიდან 29 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯის მუხლში;

11. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯების მუხლიდან 1 650 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში;

12. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში საკანცელარიო საწერ-სახაზავი ქაღალდის და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯის მუხლიდან 269 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში;

13. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

13.1. მივლინების მუხლიდან 13 000 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებიდან 38 000 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯიდან 45 553 ლარი; მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯებიდან 4 000 ლარი; კადრების მომზადება/გადამზადების ხარჯებიდან 3 000 ლარი; სესიების, კონფერენციების, ყრილობებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯებიდან 2 000 ლარი; რეკლამის ხარჯებიდან 5 000 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯებიდან 2 000 ლარი; სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან 10 000 ლარი; არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მუხლიდან 59 447 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 72 000 ლარი; ელექტრომოწყობილობების შეძენის მუხლიდან 10 000 ლარი; არამატერიალური ძირითადი აქტივებისა და კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის მუხლიდან 20 000 ლარი; სულ ჯამში 284 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.

აგრეთვე, კადრების მომზადება/გადამზადების ხარჯებიდან 370 ლარი გადატანილ იქნეს რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლში; სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული; არაწარმოებული აქტივების მუხლიდან 200 ლარი გადატანილ იქნეს სხვა არამატერიალური აქტივების მუხლში;

14. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების მუხლის თანამდებობრივი სარგოს პუნქტიდან 20 000 ლარი; დანამატიდან 17 900 ლარი; მივლინებიდან 4 689 ლარი; საკანცელარიო ხარჯებიდან 760 ლარი; კომპიუტერული პროგრამის შეძენა/განახლების პუნქტიდან 10 460 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა/დამონტაჟების ხარჯებიდან 34 347 ლარი; საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის, მანქანა/დანადგარების ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 30 000 ლარი; კავშირგაბმულობისა და სატელევიზიო მომსახურების ხარჯებიდან

4 564 ლარი; ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან 4 865 ლარი; ელექტროენერჯის ხარჯებიდან 29 000 ლარი; წყლის ხარჯებიდან 50 031 ლარი; ბუნებრივი აირის მოხმარების ხარჯებიდან 18 850 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 1 463 ლარი; უნიფორმის შეძენის ხარჯებიდან 4 000 ლარი; რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევებისა და ფარდა-ჟალუზების შეძენის ხარჯებიდან 3 760 ლარი; კადრების მომზადება/გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების ხარჯებიდან 3 700 ლარი; სესიების, კონფერენციების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებიდან 18 810 ლარი; ბინის ქირასთან (იჯარა) დაკავშირებული ხარჯებიდან 10 000 ლარი; ორდენების, სიგელების, სუვენირების, მედლებისა და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯებიდან 3 752 ლარი; სამეცნიერო ხარჯებიდან 450 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯებიდან 4 000 ლარი; სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 2 490 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონელი და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში 9 290 ლარი; მოსაკრებლებიდან 1 045 ლარი; სხვა ხარჯების სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი ხარჯებიდან 18 000 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტიდან 8 477 ლარი, სხვა შენობა-ნაგებობების პუნქტიდან 11 793 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის პუნქტიდან 9 840 ლარი; ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის პუნქტიდან 13 696 ლარი; სხვა მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 5 755 ლარი; არამატერიალური ძირითადი აქტივების კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფიდან 2 400 ლარი; სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივებიდან 8 500 ლარი; სულ ჯამში 366 687 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის პრემიის პუნქტში.

ასევე, შრომის ანაზღაურების მუხლის დანამატის პუნქტიდან 2 225 ლარი გადატანილ იქნეს ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის ხარჯებში; 2 923 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებში; 2 520 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებში; 514 ლარი გადატანილ იქნეს სოციალური უზრუნველყოფის მუხლში;

15. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიოჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი შიგა მუხლობრივი ცვლილებები კერძოდ:

კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 1 001 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა-დანადგარების მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული; 1 380 ლარი – არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მუხლში, 1 151 ლარი – ბუნებრივი აირის ხარჯების

მუხლში; 205 ლარი – მოსაკრებელის ხარჯებში; 1 700 ლარი – ელექტროენერჯის ხარჯში; 312 ლარი – საოფისე ტექნიკის შეძენისა და მონტაჟის ხარჯების მუხლში;

ელექტრომომწობილობების, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან 5 680 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების პუნქტში.

საოფისე ტექნიკისა და მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკის შეძენა დამონტაჟების ხარჯების პუნქტში.

სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლიდან 4 293 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან 3 360 ლარი – პრემიის მუხლში; წყლის ხარჯიდან 6 275 ლარი – პრემიის მუხლში; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 3 174 ლარი – პრემიის მუხლში; კულტურულ-სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან 4 400 ლარი – პრემიის მუხლში; საკანცელარიო ხარჯებიდან 1 611 ლარი – პრემიის მუხლში; რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯიდან 770 ლარი – სოციალური დახმარების მუხლში; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 500 ლარი – სოციალური დახმარების მუხლში; წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 2 000 ლარი – სოციალური დახმარების მუხლში; თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 5 000 ლარი – შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

16. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში მივლინების მუხლიდან 17 564 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

17. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დამატებით მიღებული კრედიტების შემოსავლებიდან გამომდინარე იზრდება 36 610 ლარით, აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 36 610 ლარით და ხარჯვით ნაწილში გაიწეროს შრომის ანაზღაურების პრემიების მუხლში.

ასევე, განხორციელდეს შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 972 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში; 149 ლარი – ინტერნეტის მომსახურების ხარჯების მუხლში; 4 294 ლარი – ელექტროენერჯის ხარჯების მუხლში; 3 694 ლარი – წყლის ხარჯების მუხლში; 354 ლარი – მივლინებების მუხლში; 176 ლარი – ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლში; 722 ლარი – პრემიის მუხლში; 1 000 ლარი – ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის შეძენის ხარჯების მუხლში; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 7 552 ლარი – თანამდებობრივი სარგოს მუხლში, ხოლო 7 700 ლარი – პრემიის მუხლში. გარდა ამისა, პრემიის მუხლში გადატანილ იქნეს თანხები შემდეგი მუხლებიდან: კავშირგაბმულობის ხარჯებიდან – 36 ლარი; ბუნებრივი

აირის ხარჯების მუხლიდან – 1 810 ლარი; მოსაკრებელის მუხლიდან – 1 046 ლარი; ელექტრომომწობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან – 7 000 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობის შეძენის მუხლიდან – 447 ლარი;

18. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი და, შესაბამისად, გადასახდელები გაიზარდოს 48 218 ლარით და მიმართულ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის პუნქტში.

ასევე, განხორციელდეს ცვლილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა/დამონტაჟების ხარჯებიდან 18 125 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 11 280 ლარი; კავშირგაბმულობისა და სატელევიზიო მომსახურების ხარჯებიდან 320 ლარი; ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან 1 280 ლარი; ელექტროენერგიის ხარჯებიდან 250 ლარი; ბუნებრივი აირის მოხმარების ხარჯებიდან 5 824 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯებიდან 3 600 ლარი; მოსაკრებლებიდან 273 ლარი; სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯებიდან 120 ლარი; სულ 41 072 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის პრემიის პუნქტში.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა შენობა-ნაგებობების პუნქტი შემცირდეს 127 794 ლარით და 13 169 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯებში; 2 500 ლარი – სოციალური უზრუნველყოფის მუხლში; 7 680 ლარი – შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო 104 445 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის პუნქტში;

19. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებები, კერძოდ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 90 843 ლარით და 5 294 ლარი გადატანილ იქნეს შენობა/ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების რემონტის ხარჯებში; 12 000 ლარი – წყლის ხარჯებში; 204 ლარი – საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯებში; 1 500 ლარი – ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებში; 5 000 ლარი – არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში; 6 845 ლარი – ელექტრომომწობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის პუნქტში, ხოლო 60 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის პუნქტში;

ასევე, შრომის ანაზღაურების მუხლის თანამდებობრივი სარგოს პუნქტიდან 97 000 ლარი; მივლინების ხარჯებიდან 4 713 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ/გაზეთების შეძენის ხარჯებიდან 7 615 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა/დამონტაჟების ხარჯებიდან 960 ლარი; ტექნიკის და ინვენტარის, მანქანა/დანადგარების ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 1 000 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯებიდან 13 702 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯებიდან

6 000 ლარი; რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევებისა და ფარდა/ჟალუზების შეძენის ხარჯებიდან 2 700 ლარი; ტრანსპორტის დაქირავების (გადაყვანა/გადაზიდვა) ხარჯებიდან 1 000 ლარი; სასწავლო მიზნით საჭირო მასალების შეძენის მუხლიდან 1 000 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული სხვა დანარჩენ მუხლებში 1 000 ლარი; სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან 15 430 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 25 880 ლარი, სულ ჯამში 178 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

20. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში განხორცილდეს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებები, კერძოდ: მივლინების ხარჯებიდან 10 000 ლარი; კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯებიდან 1 360 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა-დამონტაჟების ხარჯიდან 18 207 ლარი; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯიდან 1 582 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯიდან 9 360 ლარი; კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების ხარჯიდან 10 000 ლარი; ინტერნეტის ხარჯიდან 8 150 ლარი; ელექტროენერჯის ხარჯიდან 21 000 ლარი; წყლის ხარჯიდან 64 987 ლარი; ბუნებრივი თხევადი აირის ხარჯიდან 25 298 ლარი; სამედიცინო ხარჯებიდან 1 000 ლარი; უნიფორმის შეძენის ხარჯებიდან 1 000 ლარი; რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევებისა და ფარდა-ჟალუზების შეძენის ხარჯებიდან 1 600 ლარი; ტრანსპორტის ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა/შენახვის მუხლის ტრანსპორტის დაქირავების (გადაყვანა-გადაზიდვა) ხარჯებიდან 1 313 ლარი; კადრების მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯიდან 2 000 ლარი; რეკლამის ხარჯიდან 3 000 ლარი; სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯიდან 5 000 ლარი; ორდენების, სიგელების, სუვენირების, მედლების, დროშების და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯებიდან 2 000 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯიდან 500 ლარი; სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 5 000 ლარი; სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ხარჯიდან 2 000 ლარი; სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებიდან 8 000 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ელექტრომონოპოლიზაციის, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების და ავეჯის პუნქტიდან 18 686 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის პუნქტიდან 461 ლარი; არამატერიალური ძირითადი აქტივებისა და კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის პუნქტიდან 2 000 ლარი; სხვა არა-

მატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტიდან 4 000 ლარი, სულ 227 504 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის პუნქტში.

ასევე, შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების რემონტის ხარჯიდან 1 913 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯებში; ელექტრომომწოდებლობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების და ავეჯის შეძენის პუნქტიდან 1 514 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებში; ხოლო 5 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული; სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობით ხარჯებში;

21. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში განხორცილდეს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებები, კერძოდ: სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებში; უნიფორმის შეძენის ხარჯებიდან 11 751 ლარი – მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა-დამონტაჟების ხარჯებში, ხოლო 1 824 ლარი – მივლინების ხარჯებში; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ელექტრომომწოდებლობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების და ავეჯის პუნქტიდან 20 167 ლარი გადატანილ იქნეს მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული;

22. წარმოგიდგენთ ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს, კერძოდ:

საოფისე ტექნიკის ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებიდან 13 513 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის მუხლში; 8 323 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში; 5 282 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯების მუხლში; 39 383 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში; 9 602 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში; 1 922 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის ექსპლუატაციისა და მოვლა/შენახვის ხარჯების მუხლში; 750 ლარი გადატანილ იქნეს ტენდერის ხარჯების მუხლში; 2 784 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; ხოლო ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის შეძენის ხარჯებიდან 13 500 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის მუხლში და 7 956 ლარი – წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში.



ასევე, შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში გადატანილ იქნეს თანხები შემდეგი მუხლებიდან: 1 890 ლარი კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯებიდან; 7 887 ლარი ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლიდან; 13 721 ლარი კავშირგაბმულობის ხარჯებიდან; 3 980 ლარი ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან; 28 881 ლარი ელექტროენერჯის ხარჯებიდან; 8 215 ლარი ბუნებრივი აირის ხარჯებიდან; 50 000 ლარი ექსპერტიზისა და შემოწმების ხარჯებიდან; 1 060 ლარი რეკლამის ხარჯებიდან; 10 000 ლარი სესიების, კონფერენციების და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯებიდან; 1 000 ლარი საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმანის ხარჯებიდან; 1 620 ლარი შენობის პასპორტიზაციის ხარჯებიდან; 2 908 ლარი ქონების დაზღვევის ხარჯებიდან; 61 071 ლარი ელექტრომომწობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან; 1 138 ლარი არამატერიალური ძირითადი აქტივების კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის მუხლიდან; 88 497 ლარი სხვა ხარჯების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯებიდან;

23. ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვასა და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში შევიდეს ცვლილება, კერძოდ: სახელშეკრულებო თემებისა და ცენტრების შემოსავლები გაიზარდოს 472 648 ლარით და განისაზღვროს 2 493 193 ლარით; იჯარიდან შემოსავალი გაიზარდოს 52 783 ლარით და განისაზღვროს 610 000 ლარით; დეპოზიტებიდან მისაღები შემოსავალი გაიზარდოს 24 854 ლარით და განისაზღვროს 424 854 ლარით. სულ შემოსავალი გაზრდილია 550 285 ლარით და შეადგენს 3 357 502 ლარს, რომელიც გაწერილია ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად;

24. წარმოდგენთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 დეკემბრის №1311 ბრძანებას „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი 32 04 02 05) დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის №59 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელშიც ასახულია უნივერსიტეტისათვის განსაზღვრული ასიგნებების კლება პროგრამის ფარგლებში ივლის-სექტემბერში ჩატარებული ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიის გათვალისწინებით. პროგრამის ბიუჯეტი, ნაცვლად გათვალისწინებული 5 067 531 ლარისა, განისაზღვროს 5 064 521 ლარით. ცვლილება ეხება კვების მრეწველობის ინსტიტუტის არაფინანსური აქტივების შემცირებას 3 010 ლარით;

25. მოგახსენებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სტუ-ის ანგარიშზე ჩაირიცხა 3 208 410 ლარი, რომელიც საჭიროებს სტუ-ის ბიუჯეტში ასახვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს სტუ-ის საშემოსავლო ნაწილი 3 208 410 ლარით,

ხოლო გადასახდელები გაიწეროს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში შენობის რეაბილიტაციისა და სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების შეძენის მიზნით;

26. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2014 წ. 14 დეკემბერს გაფორმებულ №01/162-452 ხელშეკრულებაში განხორციელებული №01/162-452-1 შეთანხმების საფუძველზე შეტანილ იქნეს ცვლილება საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაში, კერძოდ: შენობის რეაბილიტაციის მიზნით გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია – 110 000 ლარი მიმართულ იქნეს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არასაცხოვრებელი შენობების პუნქტიდან 110 000 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის პუნქტში.

**სტუ-ის სენატის**

**სპიკერი, პროფესორი**

**ჯემალ გახოკიძე**